452
1906.09

...ი პირველი. — № 1 ხუთშაბათი, 22 ივნისი 1906 წ.

ცალკე ნომერი
ექვსი კაპეიკი



ჭიანჭველა

ფასი გაზეთისა: წლის დამოწერამდე 1 მ. 60 კ., სამის თვით — 80 კ., ცალკე ნომერი 6 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში (საპოლის ქუჩა, № 43) და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

ყოველკვირეული სახალხო გაზეთი

შინაარსი

გლეხი. — ლექსი. — მშრომელო ხალხო, შეერთდით! — ახლოვდება განკითხვის დღე. — სახელმწიფო სათათბირო. — მშრომელთა ჯგუფის პროგრამა. — ჩვენებური ამბები. — რუსეთი: ა) გლეხთა მოძრაობა, ბ) მუშათა მოძრაობა, გ) მოძრაობა ჯარში. — „და, აჭა, მოვიდა მოგვი აღმ სავლეთით (ზღაპარი)

გ ლ ე ხ ი

—:—

ვინ არის გლეხი? ვის ემსახურება ჩვენი გაზეთი? რა აწერია იმ დროშაზე, რომელიც ავიღეთ ხელში და რომელმაც უნდა გვიწინამძღვროს ცხოვრებაში?

ვინ არის გლეხი?

გლეხი ის ადამიანია, რომელიც დღე და ღამე მუშაობს, დღე და ღამეს ასწორებს, სისხლისა ოფლსა ღვრის, რომელმაც არ იცის არც ძილი და არც მოსვენება, რომლისთვის არ არსებობს არც ზამთარი და არც ზაფხული, რომელიც მუშაობს დღიდან დღემდე, წლიდან წლამდე და მაინც ვერასოდეს ვერ გაუთავებია ეს მუშაობა.

გლეხი ის ადამიანია, რომელიც მუდამ მშიერია, შიშველი, წელში მოხრილი, რომელიც პირუტყვებთან ერთად ცხოვრობს აყროლებულ მიწურში და ნაცვრად დანგრეულ ქოხში, რომელიც იტანჯება ათასნაირის ავადმყოფობით და შეიწროვებით, ვისაც ტანჯვაში სული ხდება და ცრემლები არ აშრება თვალებზე, ვისაც უდროოდ ეხოცება შვილები და ვინც უდროოდ ესალმება თვითონაც წუთის სოფელს.

გლეხი ის ადამიანია, რომლისთვის სიცოცხლე მარტო ერთი წამებაა, რომელსაც მუდამ თავს დასტრიალებს შიმშილი და სიკვდილი, რომელსაც თავი ვერ აუღია ზევით, წელში ვერ გამართულა, თამამად ვერ გაუხედია, გემრიელად ვერ გაუცინია, რომელიც სიმღერაშიც კი სტირის, სტირის თავის მწარე ბედს.

გლეხი ის არის, ვისაც ყველა ატყვილებს, ყველა ძარცვავს, ჩაგრავს, ყვლეფს და სისხლსა სწოვს: ძარცვავს მემამულე, ატყვილებს ვაჭარი, ჩაგრავს მთავრობა, მისი ოფლითა ცხოვრობს ერიც და ბერიც.

გლეხი მუშაა, ქარხანა-ფაბრიკის მუშის ღვიძლი ძმა. გლეხის და მისი ძმის, ქალაქის მუშის, შექმნილია მთელი ქვეყნის სიმდიდრე, მათის მკლავით არის მოყვანილი პური, მათის ხელით არის აშენებული სახლები, მათის ოფლით არის მოქსოვილი ტანსაცმელები. გლეხი და მუშა აძლევს ქვეყანას საჭმელს, სასმელს, ბინას

და სამოსელს, რაც კი დედამიწაზე სიმდიდრეა— სახლები, ფაბრიკები, ქარხნები, რკინის გზები, გემები, რაც მაღაზიებში საქონელია, ათასნაირი მოწყობილობაა—, ყველაფერი გლეხების და მუშების გაკეთებულია.

მაგრამ, მთელი ეს სიმდიდრე სხვის ხელშია, მდიდარ მემამულეების, მექარხნეების, ვაჭრების, მეფის და მის მოხელეების ხელშია, სხვები სარგებლობენ ამ სიმდიდრით, ხარობენ და ქეიფობენ, სხვები ცხოვრობენ მდიდრულ და ოქრო-ვერცხლით მორთულ სასახლეებში, კარგად ჭამენ და სვამენ, კარგად იცვამენ და იხურავენ, გლეხი კი ისე, როგორც მისი ძმა ქალაქის მუშა, მშიერია, შიშველი და გაჭირვებული. სხვები— მდიდრები-არაფერს აკეთებენ და ბედნიერად ცხოვრობენ, გლეხი კი დაუსრულებლად მუშაობს, მაგრამ მაინც ჰშია და სწყურია, მაინც სახლში გამოულეველი ჭირი და უბედურება უტრიალებს.

სხვისთვის მუშაობს გლეხი, სხვისთვის ღვრის მწარე ოფლს, სხვისთვის ცხოვრობს და კვდება. განა ეს სამართალია, განა ეს კაცობაა, და განა ამისთვის არის გაჩენილი გლეხი? ნუ თუ გლეხი ადამიანი არ არის? გლეხმა არ იცის, რა არის ჭირი და ლხინი? გლეხს არ უნდა ტკბილი და გემრიელი ცხოვრება?

უნდა მოეღოს ბოლო ამდენ უსამართლობას, უნდა მოისპოს გლეხის ჩაგვრა და მონობა და გლეხმა უნდა მოიპოვოს კაცური, ადამიანური ცხოვრება!

რა არის უმთავრესი მიზეზი უსამართლობისა, რატომ არის, რომ გლეხი ყველაზე მეტს მუშაობს და ყველაზე უფრო მშიერი და ღატაკი კია? იმიტომ, რომ გლეხს მიწა არა აქვს, გლეხი იძულებულია სხვის მიწაზე იმუშაოს და სხვას გაუნაწილოს თავისი შრომის ნაყოფი; იმიტომ, რომ მიწა დაუსაკუთრებიათ მემამულეებს, რომელნიც თვითონ არ მუშაობენ და სხვებს ყვლეფენ; იმიტომ, რომ ქალაქებში ქარხნები და ფაბრიკები ხელში ჩაუგდიათ მდიდარ მწარმოებლებს, რომელნიც ამგვარათდვე ძარცავენ მუშებს და მათის ოფლით მდიდრდებიან და სუქდებიან; იმიტომ, რომ დღევანდელი მთავრობა მშრომელი ხალხის მჩაგვრელი და სისხლის მწოველია. და გლეხი მაშის ელირსება ბედნიერს ცხოვრებას, როდესაც მოისპობა მიწის, ქარხნის, ფაბრიკის, რკინის გზების და სხ. კერძო საკუთრება, აღარ იქნებიან მუქთახორა მემამულეები, მექარხნეები, ვაჭრები, მთელი სიმდიდრე გადავა მუშა ხალხის ხელში, იქნება საერთო მუშაობა და წარმოება: ყველა იმუშავებს და ყველა იქნება მაძღარი და კმაყოფილი, ერთი სიტყვით: როდესაც დამყარდება ერთობა— სოციალიზმი.

ამისათვის კი საჭიროა, რომ დაუყოვნებლივ შეერთდენ გლეხები და ქალაქის მუშებთან ერთად გამოვიდნენ საბრძოლველად. უნდა მოითხოვონ სამართალი, უნდა იბრძოლონ ერთობისათვის, რადგან მხოლოდ ბრძოლით შეუძლიათ დაამარცხონ მჩაგვრელები და მტარვალები, ბრძოლით მოიპოვონ კაცური და ბედნიერი ცხოვრება. უნდა შეერთდენ გლეხები და მედგრად, მხნედ, თავგანწირულად უნდა იბრძოლონ ყველაზე უწინარეს იმისათვის, რომ მთელი მიწა გადაეცეს მიწის მუშა გლეხებს, რომ მიწით მარტო ის უნდა სარგებლობდეს, ვინც თვითონ მუშაობს, ვინც თვითონ ღვრის მწარე ოფლს. მიწას მოიპოვებს გლეხობა, როდესაც ძირს დასცემს დღევანდელს მთავრობას და ხალხი თვითონვე გაუძღვება თავის ბედიღბალს, თვითონვე იქნება თავისი პატრონი და მომვლელი, როდესაც დამყარდება ნამდვილი ხალხური, სრული თავისუფლება.

გლეხო, მუშა-გლეხო, შენის ოფლით და ცრემლით არის მორწყული ქვეყანა, შენის სისხლით არის განოყიერებული დედამიწა, კმარა უსამართლობა, ძალმომრეობა და მონობა, რაც დღემდის მოგითმენია. გაიმართე წელში, ჰკარ ხელი შენს მჩაგვრელებს და მწამებლებს და შესძახე: „კმარა ჩაგვრა და ტანჯვა, მე ადამიანი ვარ და არ მინდა, სხვისი ლუკმა ვიყო, სხვას

ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝ,
ᲕᲔᲛᲝᲜᲝ! ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲡ ᲓᲐ
ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲪᲮᲝᲪ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲮᲕᲘᲡᲘ!
ᲝᲤᲚᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲓᲒᲔᲑᲐ ᲬᲘᲜ
ᲙᲛᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲘ
ᲓᲐ ᲛᲝᲛᲘᲜᲓᲝ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲛᲩᲐᲒᲕᲠᲝᲡ ᲓᲐ
ᲓᲐᲛᲘᲛᲝᲜᲝᲡ ᲯᲝᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲛᲘᲬᲘᲡᲐ ᲓᲐ
ᲛᲐᲨ ᲒᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ!...
ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ

Ი. ᲭᲐᲥᲐᲕᲐ

ᲒᲚᲔᲮᲘ

—:—

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲐ, ᲤᲔᲝᲥᲕᲡ ᲙᲝᲙᲝᲠᲐ,
ᲐᲛᲐ ᲓᲐᲜᲐᲛᲣᲚᲐ, ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲐ ᲓᲔᲚᲐᲕᲡ,
ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲜᲐᲛᲒᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲘᲐ,
ᲡᲐᲛᲔᲒᲘᲔᲠᲝᲗ ᲡᲐᲜᲯᲐᲚᲡᲐ ᲭᲤᲔᲠᲐᲕᲡ!
ᲭᲤᲔᲠᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲪ ᲖᲔᲓ ᲓᲐᲭᲓᲘᲓᲘᲜᲔᲑᲡ:
„ᲑᲔᲕᲠᲘ ᲕᲛᲙᲔ, ᲕᲗᲔᲡᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲜᲐᲛᲝᲗ,
ᲪᲝᲚᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲜᲪ ᲨᲘᲔᲠᲘ ᲛᲔᲕᲜᲓᲐ,
ᲗᲝᲗᲥᲛᲘᲡ ᲬᲐᲕᲘᲓᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲒᲚᲐᲮᲐᲝᲗ!
ᲝᲮᲠᲐᲗᲐ ᲒᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲣᲗᲜᲐ,
ᲙᲚᲓᲝᲡ ᲔᲝᲠᲜᲐ ᲓᲐᲡᲬᲧᲕᲔᲘᲡ ᲨᲕᲠᲔᲗ,
ᲡᲬᲧᲚᲓ ᲥᲝᲡ ᲤᲠᲗᲔᲑᲘᲐ ᲩᲐᲨᲝᲣᲨᲕᲔᲑᲐ,
ᲔᲖᲝᲡ ᲓᲐᲡᲪᲥᲔᲠᲘᲡ ᲘᲡ ᲨᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲔᲗ.
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲘᲠᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲘᲒᲡᲝ,
ᲛᲔᲪᲐ ᲕᲝᲡᲝᲣᲚᲝᲑ ᲙᲐᲪᲣᲠ ᲣᲤᲚᲔᲑᲡ,
ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲓᲒᲐᲜ ᲩᲔᲛᲘ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ
ᲛᲣᲥᲗᲐ ᲛᲭᲐᲛᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲨᲝᲙᲕᲔᲑᲡᲕᲡ!
ᲙᲐᲠᲐ, ᲐᲜ ᲢᲣᲕᲘᲐ, ᲐᲜ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ!
ᲨᲘᲔᲠ-ᲢᲘᲢᲕᲔᲚᲝ, ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲜᲣ ᲡᲢᲘᲠᲘ,
ᲩᲐᲒᲠᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲚᲮᲘᲐ ᲐᲚᲓᲒᲐ, ᲐᲖᲕᲘᲠᲝᲓᲐ,
ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔᲥᲐᲮᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲕᲘᲠᲘ!

Ი. ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲝ ᲮᲐᲚᲮᲝ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘ!

—:—

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲝ ᲮᲐᲚᲮᲝ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘ! ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲕᲘᲡ ᲔᲛᲐᲮᲘᲗᲝ, ᲛᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲔᲚᲘ: ᲔᲮᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ; ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲭᲘᲠᲘᲡᲣᲤᲚᲔ, ᲙᲐᲪᲘ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲒᲐᲐᲠᲩᲔᲕᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲒᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲝᲗ, ᲕᲘᲡ ᲕᲔᲓᲐᲮᲘᲗ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲐᲓ ᲛᲘᲒᲕᲐᲩᲜᲘᲐ; ᲕᲘᲜ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ ᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲔᲡ.

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐ — ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ - ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ - ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔ. ᲔᲡ ᲝᲠᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲝᲤᲚᲡᲐ ᲰᲚᲕᲠᲘᲐᲜ, ᲓᲦᲔ-ᲦᲐᲛᲔᲡ ᲐᲡᲬᲠᲝᲠᲔᲑᲔᲜ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ, ᲗᲕᲐᲚ-ᲣᲬᲕᲓᲔᲜᲔᲚᲡ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲝᲥᲠᲝᲡᲤᲔᲠᲘ ᲧᲐᲜᲘᲗ ᲐᲑᲘᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ, ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲨᲘ ᲣᲗᲕᲐᲚᲐᲕᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ, ᲘᲛᲐᲗ ᲝᲤᲚᲘᲗ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲫᲚᲔᲑᲐ, ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲝᲛᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ; ᲘᲛᲐᲗ ᲓᲐᲙᲝᲭᲝᲭᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲞᲐᲚᲐᲢᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲠᲐᲧᲣᲚᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲡ, ᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲡ, ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲡ, ᲣᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲐᲖᲠᲓᲝᲡ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲜ ᲙᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲨᲘᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲢᲘᲢᲕᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲯᲐᲤᲐ ᲔᲚᲘᲗ ᲣᲖᲝᲛᲝ, ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ; ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔᲓ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔᲓ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔᲓ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ! ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔᲓ ᲛᲔᲢᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲡ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲮᲓᲘᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔᲓ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲬᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ ᲣᲙᲘᲠᲐᲕᲗ ᲓᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲡ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ! ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲯᲐᲜ-ᲦᲝᲜᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛᲐᲗ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲐ! ᲠᲐᲗᲐ? ᲠᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲐ? ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲒ ᲑᲐᲢᲝᲜ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲬᲣᲮᲔᲑᲔᲚᲘ? ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲣᲚᲛᲐᲠᲗᲝᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲫᲐᲚᲩᲐᲣᲒᲓᲝ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲕᲐᲣᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲯᲘᲑᲔᲖᲔᲓ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲔᲜ. ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘ ᲘᲛᲐᲗ ᲤᲔᲮᲔᲑᲖᲔᲓ ᲰᲙᲘᲓᲘᲐᲗ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲗ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲥᲪᲔᲕᲓᲐ ᲘᲛ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲚᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲐᲡ ᲛᲐᲯᲚᲐᲯᲣᲜᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲓᲐᲡᲬᲝᲚᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲠᲩᲝᲑᲐᲡ ᲣᲠᲘᲠᲔᲑᲓᲐ. ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲧᲠᲣᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲪ ᲘᲛ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲠᲘᲠ ᲢᲧᲐᲕᲡ ᲐᲫᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲣᲠᲐᲜᲨᲘ ᲘᲧᲝ, ᲫᲘᲚᲘ ᲔᲬᲕᲐ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘᲧᲝ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ.

ᲪᲝᲓᲜᲐ ᲙᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲐ; ᲠᲐᲙᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲘᲒᲔᲑᲡ, Ე. Ი. ᲠᲐᲙᲘ ᲙᲐᲪᲡ ᲔᲪᲝᲓᲘᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲩᲐᲒᲕᲠᲘᲡᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲧᲕᲚᲔᲤᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲢᲧᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐ, ᲔᲪᲝᲓᲘᲜᲔᲑᲐ ᲘᲡᲘᲪ, ᲗᲣ ᲕᲘᲜᲪᲐ ᲑᲫᲐᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲙᲔᲗᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲧᲐᲚᲝᲑᲔᲚᲜᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲡ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲗᲐᲕᲘ ᲘᲮᲡᲜᲐᲡ ᲐᲛ ᲛᲢᲐᲪᲔᲑᲔᲚ-ᲛᲪᲐᲠᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ეცდება კიდეც, რომ, არამც თუ ტყავი აღარ გააძრობინოს, თავი არ დააჩაგვრინოს, არამედ ცხოვრების პირობები გაიუმჯობესოს.

თავის ოფლი და ნაშრომი თითონვე მოიხმაროს.

ამ ნაირი შემაწუხებელი, ტყავის გამძრობი ბატონ-პატრონი გლეხობას და ქალაქის მუშებს ჰყავთ ორი: ერთი გახლავთ მუქთახორა მემამულეები და წურბელა მეფაბრიკეები: მეორეა ბიუროკრატიული მთავრობა — მეფე მინისტრებიდან დაწყებული უკანასკნელ პოლიციის სტრაჟნიკამდის. ეს ორი მტერი — ანუ ბატონ-პატრონი მშრომელ ხალხისა ყოველთვის იმას ცდილობდა, რომ ხალხი დამონებული ჰყოლოდათ, ხალხი უსწავლელი ყოფილიყო, მშიერი, ტიტველა, დაშინებული, შეწუხებული, რომ უფრო კარგად ებატონათ, ეპარპაშათ. ძალაც და კანონიც იმათ ხელში იყო, როგორც უნდოდათ ისე ატრიალებდნენ მილიონ მშრომელ ხალხის ბედ-იღბალს. ერთმანეთს დიდ დახმარებას უწევდნენ მთავრობა და შეძლებული ბატონები თუ სქელ მუცელა ვაჭრები. ამიტომაც მოხდა ასე, რომ უთვალავს გლეხკაცობას მიწა არა აქვს, სიმშილით სწყდება რამდენიმე საუკუნეა, მაგრამ იქვე სოფლის გვერდით გადაჭიმულია თვალგადაუწვდენელი მინდორი მემამულისა. ის კიდევ გლეხებს აძლევს ისეთის ღალით, რომ საბრალო გლეხს შემოსავლიდგან აღარა რჩება რა და სიმშილით სული სძვრება.

მერე ვინ მისცა მემამულეს ეს ამოდენა ტყე და მინდორი? რათ უჭირავს იმას და არა გლეხობას, მიწის მუშას?

იმიტომ რომ მთავრობას ეგრე სურდა, თავის ერთგული დააჯილდოვა.

ფაბრიკის პატრონი მილიონებს იჩხრიალებს ჯიბეში მუშების წყალობით. მაგრამ, აბა, გაბედონ მუშებმა და სთხოვონ თავიანთ ბატონს, ცოტაოდენი მოგვიმატე, დღევანდელი ხელფასი არა გვყოფნისო, რა პასუხს მიიღებენ? ის მთავრობას შეატყობინებს, მუშები აჯანყდნენო, გულკეთილი მთავრობაც მაშინვე ჯარს გამოუგზავნის და მშიერს მუშებს ტყვიას დაუშენენ. ფაბრიკის პატრონებიც თავის მხრით სამსახურს უწევენ მათს ერთგულს მთავრობას ფულით, თუ სხვანაირად.

აი ესეთია იმ ბატონ-პატრონების მეგობრული კავშირი და ერთობა ერთმანეთის დასაცველად, მშრომელ ხალხის დასაჩაგრავად და ტყავის გასაძრობად.

მაგრამ ამ ბოლოს დრო მშრომელმა ხალხმაც გამოიღვიძა, ბურანიდან გამოერკვია, შეიგნო ნამდვილი საქმის ვითარება; ეხლა იცის, რაც არის თითონ, ვინც არის ამის მოპირდაპირე, იმისი მტერი. ეხლა აღარ სურს დაემორჩილოს ვისმე, აღარა სურს სიშილით სული ამოირთოს და უვიცობაში, გონებრივ სიბნელეში იმყოფებოდეს.

მაშ რა ჰსურს მშრომელს ხალხს? მშრომელს ხალხს ჰსურს: **მიწა და თავისუფლება! მშრომელს ხალხს ჰსურს, რომ იმის ნოთ ლარი მისივე იყოს!**

მაგრამ ამ სურვილს ხომ განხორციელ უნდა, მიწასა და თავისუფლებას მოპოვება და! ვისაც ეხლა ხელში უჭირავს ეგ აკ ლული ხილი და ყოველივე ძალაც, ის ეგ უბრალოდ არ დაგვითმობს, პირქუში ბატ არ გვეტყვის: ცხოვრება გიჭირთ! ვაი ჩემო თავო! მოდით თქვენი ჭირიმე, გლეხ და მუშებო, და მიირთვით, რაც გენებოთ რამდენიც გსურდეთ!.

მაშ რა მოხდება? ის მოხდება, მრშომელ ხალხმა ერთპირი იერიში უნდა მიიტანოს ტონ-პატრონებზედ, დაამარცხოს იგინი და შინ ყველაფერს მოიპოვებს, რაც უჭირს.

მხოლოდ ცალკ-ცალკე რომ ვიძახოთ ყ ლამ, მიწა და თავისუფლება მინდაო, ვ არავის დავაფთხობთ და არც არავინ რას მ გვცემს. იმიტომ რომ ცალკე კაცს, თუ ცალკე სოფელს რა ძალა აქვს? არაფერი. ყ ლანი კი რომ შეეერთდებით, მთელი მშ მელი ხალხი შეერთებული რომ იქნება მტ ცედ და იტყვის: მოგვეცით მიწა და თავ ფლებაო! მაშინ ხალხის მტრები, ხალხის ძულენი, იმის კისერზედ გასუქებული ვაჭბატ ნები ყველაფერს დასთმობენ. შეერთებულ ძალა მათ შიშის ქარებს აუტეხავს, დავთ დაუბნევს.

შეერთებული ხალხი ყველაფერს გააკეთ ყველას დაიმორჩილებს.

როგორც ხალხის მტრები არიან შერთებ ლნი ხალხისავე დასაჩაგრავად, უნდა შეერთ

მშრომელი ხალხიც თავის ინტერესების დასაცველად.

აი იმიტომაც სიჭიროა, მეტისმეტადაც საჭიროა მშრომელი ხალხის შეერთება.

ქალაქის მუშები შეერთებულნი არიან. იმათ, კარგა ხანია, მოახერხეს ეგ. ჭაპანს ერთად ეწევიან თავიანთ სასახელოთ და სასარგებლოდ.

ეხლა ჯერი გლეხებისაა.!

გლეხებიც უნდა შეერთდნენ, შეკავშირდნენ თავიანთ საქმის გასაკეთებლად.

თუ მიწა და თავისუფლება უნდათ, ხმა უნდა ამოიღონ და მხარი დაუჭირონ თავის მოძმე ქალაქის მუშებს.

გაუმარჯოს შეერთებულს მშრომელს ხალხს!

გლეხიშვილი.

ახლოვდება განკითხვის დღე!

—:—

ერეულობა იზრდება. უფრო და უფრო მწვავდება დამოკიდებულება სიღარიბისა და მთავრობის შორის. სიზდვერი ადრ უჩანს მთავრობის ძალმომრეობას, მაგრამ ბოლო მოელო ხალხის მოთმინებასაც და ხალხი ემზადება საბრძოლველად.

ქალაქებში იწყება გაფიცვები: გაფიცულნი არიან ქარხნების და ფაბრიკების მუშები პეტერბურგსა, მოსკოვსა, ლოძსა, ვილნასა და ადესაში; გაიფიცნენ გემების მუშები ადესასა და სარატოვში; გაიფიცნენ ბურის მცხობლები სარეოვსა და პეტერბუგში, რკინის გზის მუშები მოსკოვსა და რიგაში, ხის სასერნი ქარხნების მუშები არხანგელსკში, ქვასმოდელები ქერჩში, ასოთამწყობნი სხვა და სხვა ქალაქებში. გაიფიცნენ მავი ქვის მუშები ჭიათურაში, ნოქრები და მუშები ტფილისში, ნოქრები ქუთაისში.

მუშები ხელს იღებენ მუშაობაზე და თხოულობენ სამუშაო დრის შემცირებას და ქირის მომატებას; ჯერ ჯერობით ამა თუ იმ ხელობის და ქალაქის მუშები თხოულობენ კერძოდ თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას, ჯერ არ არის საერთო გაფიცვა, გაფიცვების ჯერ იდგილობრივი სასიათი აქვს, მაგრამ ზოგან მუშებმა უკვე საზოგადო მოთხოვნილებანი გამოაცხადეს, მოითხოვენ, რომ მიწა უსასყიდლოდ გადეცეს მუშა ხალხს, მუშებისათვის დაწესდეს რვა საათის სამუშაო დღე და მოწვეულ იქმნეს სამართლიანი წესწყობილების დასადგენად დამფუძნებელი კრება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ერით.

ყველა ქალაქებში მრავლდება უსაქმოდ დარჩენილ მუშების რიცხვი; ესენი უერთდებიან ერთმანეთს, იდგენენ კავშირებს და ირჩევენ დეპუტატებს და უზომოდ დაჩაგრულნი და შევიწროებულნი მუშები აქა-იქ ლაბარაკობენ შეიარაღებულ აჯანყების შესახებ.

ერეულობა სოფელში. გაფიცულნი არიან მრავალგან სოფლის მუშები; ბევრი მემამულის ადგილები დაუმუშავარი დარჩა, გლეხები არ იცდიან ოჯარის ფასს. შეშინებული მემამულეები თავ-ქუდ მოგლეჯილნი გარბიან სოფლებიდგან. გლეხები უერთდებიან ერთი მეორეს, მართავენ ერიღობას და იდგენენ: „მეტის მოთმენა ადარ შეგვიძლია ძირს დღევანდელი მთავრობა! ძირს მჩაგვრელები, და მუქთახორები! გაუმარჯოს ხალხის თავისუფლებას! მიწა მიწის მუშებს!“

გლეხებმა დაჭარგეს სრულიად მთავრობის იმედი და ახლა მათ ვერავინ ვერ დაამშვიდებს, სანამ არ მოიბოვებენ სრულს თავისუფლებას, სანამ მიწები არ ჩამოერთმევა საზიანს, ხელმწიფეს და მის ნათესავებს, ეკლესია-მონასტრებს და მემამულეებს და არ გადეცემა მიწის მუშებს.

ამოძრავდენ სოლდათებიც. დიდი მღელვარებაა და უკმაყოფილება ჯარში — ბოლტავსა, კურსკსა, კრონშტადსა, ცარსკოე-სელოსა, სევასტოპოლსა, ვორონეჟსა, პეტერბურგსა, ბათუმში და სხვაგან. სოლდათებმა დაინახეს, რომ სიმართლე ხალხის მხარეზეა და არა მთავრობისაკენ, სოლდათებს ადარ უნდათ თავის ძმების, ხალხის წინააღმდეგ წავიდნენ და ადარ ემორჩილებიან მთავრობას.

გზა დაბნეულმა მთავრობამ არ იცის, რა ქნას, ათასნაირ საშუალებას ხმარობს, რომ ჩაქრობს ერეულობა, რომ ძირიანად მოსპობს თავისუფლება, რომ ისევ დამონებული ყოფილ ხალხი. მაგრამ ფუჭია ეოველი მისი ცდა, ვერაფერი ვერ შეაჩერებს გაბოლდეიძებულს ხალხს, ხალხი შემუსრავს და დალეწავს ყველაფერს, რაც კი წინ გადაეღობება, ხალხს უნდა თავისუფლება, ხალს უნდა ადამიანური ცხოვრება.

ახლოვდება განკითხვის დღე! ახლოვდება ხალხის შურისძიება.

ი. ფ.

სახელმწიფო სათათბიროს

ბევრი ლოდინისა და მედგარ ბრძოლის შემდეგ რუსეთის ხალხი კუდმოკვეცილ თავისუფლებასა და ბოლომეტლეჯილ კონსტიტუ-

ციას *) ეღირსა. 27 აპრილს ხალხის არჩეული დეპუტატები პეტერბურგში შეიკრიბნენ და მეფესთან მივიდნენ. მეფე დიდის ამბით გამოეგება ნაძალადევ სტუმრებს, მიესალმა, უთხრა ორიოდე სიტყვა და ისევ უკან გაბრუნდა. სათათბირო კანონების გამოცემას შეუდგა. დეპუტატებმა ერთხმად დაადგინეს: სანამ კანონების გამოცემას შეუდგებოდეთ, მოციქულები გაუგზავნოთ მეფეს და მოვახსენოთ: ციხეციმბირი სავსეა ჩვენი ძმებით, შვილებითა და მამებით, ისინი სიმართლისთვის იბრძოდნენ, თავისუფლებას თხოულობდნენ და სიმართლისთვის და თავისუფლებისთვის ბრძოლა კი დანაშაული არ არის, ამიტომ ბრძანება მიეცი შენს მინისტრებსა და გუბერნატორებს, რომ ყოველნი გამოუშვანო.

მეფემ ამაზე უარი შემოუთვალა. იწყინეს დეპუტატებმა და მთელმა რუსეთმაც მეფის უარი, მაგრამ ბოლმა ჩაყლაპეს და თქვეს: დღემდის ბევრი მოგვითმენია, მოდი ესეც მოვითმინოთ და ვნახოთ, რას გვიპირებენ მეფე და იმის მინისტრები შემდეგშიაო.

მერე დეპუტატები შეუდგნენ წერილის შედგენას, რომელიც მეფესთვის უნდა გაეგზავნათ. ამ წერილს საპასუხო ადრესი ჰქვიან. სათათბირო მთელი კვირა ეწვალა ამ ადრესის შედგენაზე. ბოლოს შეადგინა და მეფეს გაუგზავნა. დეპუტატები სწერდნენ მეფეს: ჩვენ გვინდა, რომ დეპუტატების არჩევაში მთელმა ხალხმა მიიღოს მონაწილეობა და არა მარტო ზოგიერთებმა; ჩვენ გვინდა, რომ თქვენმა მინისტრებმა დაგვანებონ ის თავისუფლება, რომელიც თქვენ დაგვპირდით 17 ოქტომბერს; ჩვენ გვინდა, რომ შენმა მოხელეებმა ხელი აიღონ ხალხის ცარცვა-გლეჯაზე, ქრთამების აღებაზე, ძალ-მომრეობაზე, უკანონობაზე და ხალხის ტანჯვაზე; ჩვენ გვინდა, რომ ყოველგან მოიხსნას სამხედრო წესები, აიხსნას ეკზეკუციები, სოფლებიდან გაიყვანოთ სალდათები და კაზაკები, მოგვაშოროთ თავიდან გენერალ-გუბერნატორები და მოასვენოთ ისედაც დატანჯული და ჯვარცმული ხალხი; გვინდა, რომ კანონის წინ ყველა თანასწორი იყოს: რუსიც და თათარიც, ქართველიც და სომეხიც, ოსიც და ებრაელიც, ღარიბიც და მდიდარიც, გლეხიც და თავადიც, მღვდელიც და აზნაურიც; ჩვენ გვინდა, რომ კაცის ჩამოხჩობა და დახვრეტა აღარ იყოს, რომ სწავლა უფასო და ყველასთვის ხელმისაწდომი იყოს, ჯარში სალდათებს არ სტანჯავდნენ და ადამიანურად ექცეოდნენ; ჩვენ გვინდა, რომ მონასტრებს, ეკლესიებს და ხელმწიფის ნათესავებს მამული ჩამოერთვას და გლეხებს დაურიგდეს, მაგრამ თუ ეს მამული არ ეყოთ, მდიდარ მემამულეებისაგან ხაზინამ მიწა უნდა იყიდოს და ესეც გლეხებს დაურიგდეს; ჩვენ გვინდა, რომ ყველა ხალხს ნება ჰქონდეს თავის ენაზე ილაპარაკოს, თავის ენაზე ილოცოს, თავის შინაური საქმეები, როგორც მისი ნება იქნება, ისე მოაწყოს; ქართველმა ქართულად უნდა ისწავლოს სკოლებში, სომეხმა სომხურად და თათარმა თათრულად. ბოლოს დეპუტატებმა ხელმეორედ მოაგონეს ხელმწიფეს, რომ ციხეების კარები გააღებინეთ და ტუსაღები გამოაშვებინეთო.

დეპუტატებმა მოციქულები აირჩიეს და ეს წერილი ხელმწიფეს გაუგზავნეს, მაგრამ ხელმწიფემ მოციქულები არ მიიღო და შეუთვალა: ეგ წერილი ჩემ კარის კაცებს გადაეცითო. ეწყინათ მოციქულებს მეფის პასუხი, ეწყინათ დეპუტატებს, ეწყინა მთელ რუსეთს, მაგრამ მოითმინეს და ადრესი მეფეს კარის კაცების ხელით შეუგზავნეს. მეფემ წაიკითხა ხალხის წარმომადგენლების წერილი, მაგრამ პასუხი არ აღირსა. მეფის მაგივრად მინისტრებმა გასცეს პასუხი. 13 მაისს უფროსმა მინისტრმა გორემიკინმა წაიკითხა პასუხი. ამ პასუხში ეწერა: მთავრობა ხალხს არაფერსაც არ დაუთმობს: არც მიწას, არც თავისუფლებას, არც სხვა რასმეს; გლეხებს მიწა ბევრი აქვთ და თუ არა ჰყოფნით, ციმბირში გადასახლდნენ და იქ იცხოვრონო; სამხედრო წესებს არ მოვსპობთ, არც ეკზეკუციებს მოვხსნით და არც კაზაკებს გამოვიყვანთ სოფლიდან; საყოველთაო არჩევნებს არ შემოვიღებთ და ტუსაღებს არ გამოუშვებთ და არაო. ერთი სიტ-

*) კონსტიტუცია იმას ნიშნავს, რომ ხელმწიფემ და მისმა მინისტრებმა სახელმწიფოს საქმეები უნდა განაგონ ხალხის არჩეულ კაცების დადგენილების თანახმად. წინად რუსეთში ხელმწიფე ისე იქცევოდა, ისეთ კანონებს სცემდა და ისე განაგებდა საქმეებს, როგორც მას სურდა და არავის ანგარიშს არ აძლევდა ამის შესახებ.

ყვით, ჩვენ—მეფე და მისი მინისტრები კრიჭაში ჩაგიდგებით და არაფერს დაგითმობთ: ყველაფერი ისევ ისე უნდა დარჩეს, როგორც უწინ იყო; გუბერნატორებმა, ჩინოვნიკებმა და პოლიციამ ისევ ისე უნდა აწკალონ ხალხი, როგორც დღემდის აწვალებდნენ, მინისტრებმა ისევ ისე უნდა ძარცვონ ხალხ~~ი~~ ~~ფული~~, როგორც წინად. გენ.-გუბერნატორებმა ისევ ისე უნდა ახრჩონ და დახვრიტონ თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირი ამირანები, როგორც უწინაო. გაბრაზდნენ, გაჯავრდნენ, გაცეცხლდნენ ხალხის მოციქულები და დაადგინეს: დღეის იქით ეხლანდელი მთავრობა მთავრობა არ არის და ეხლანდელ მინისტრებს ჩვენ ფრჩხილის ოდენას არაფერს ვენდობითო. დეპუტატებმა უთხრეს მინისტრებს, მოგვშორდით თავიდან, დაგვეკარგეთ აქედანაო, მაგრამ მინისტრებმა ყურებიც არ დაიბერტყეს. დარჩნენ წინანდელ ადგილებზე და წინანდელივით ხალხს სისხლსა სწოვენ.

კარგა ხანი გავიდა. მინისტრები შემოდიოდენ ხოლმე სათათბიროში და ცდილობდნენ ათას სიმხეცისა და უკანონობის გამართლებას, მაგრამ ხალხის მოციქულები ეუბნებოდნენ: თქვენი აღარა გვჯერა! მოგვშორდით თავიდან და ტყვილად ნუ ცდილობთ შერიგებასაო. ერთხელ დეპუტატებმა ჰკითხეს მინისტრებს: ქალაქ რიგაში დღეს თუ ხვალ გენერალ-გუბერნატორმა რვა უდანაშაულო კაცი უნდა დახვრიტოს და რას აპირებთო. მინისტრის მაგივრად სამხედრო პროკურორმა უპასუხა: რუსის კანონი ასეთია და რა ვქნა, ალბად სიკვდილის ღირსნი არიან და იმიტომ გადუწყვიტეს დახვრეტაო.

— ჯალათებო! კაცის მკვლელებო! — მიაძახეს აქეთ-იქიდან, მაგრამ პროკურორმა პასუხს აღარ მოუცადა, დაავლო ქუდს ხელი და გ~~ასა~~ ნ~~ა~~ ვ~~ლ~~ ა. დეპუტატები ყოველ დღე იკრიბებოდნენ; რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, რომ ეს უსირცხვილო მინისტრები თავიდან მოვიშოროთ და ხალხს მიწა და თავისუფლება მივცეთო. მეფე მინისტრებს უჭერდა მხარს, და ორივენი ებრძვიან ხალხს წარმომადგენლებს. მეფეს რომ მარტო დეპუტატებთან ჰქონოდა საქმე, დღემდის ყველას ციხეში ჩაჰყრიდა, მაგრამ ვერ ბედავს, რადგან იცის, რომ დეპუტატებს მთელი რუსეთი, მთელი გლეხობა და მთელი მუშა ხალხი უჭერს მხარს. თუ საქმე გაჭირდა, ხალხი ერთი კაცივით ფეხზე ადგება და თავის მოციქულებს მხარში ამოუდგება. მეფესაც და მინისტრებსაც ამისი ეშინაათ და ელიან, ვნახოთ რა გამოვა, იქნებ ბოლოს ხალხი მოლბეს და უკან დაიხიოსო.

მაგრამ ხალხი არ ლბება ხალხი არ წყნარდება და თავი გადადებული აქვს: ან ყველანი უნდა დავიხოცნოთ, ან ჩვენ ჩვენი გავიტანოთო.

ამ თვის დამლევს რუსეთის დეპუტატებს შვიდი ქართველი დეპუტატიც მიეშველა და გლეხებისა და მუშა ხალხის მომხრე დეპუტატებს ზურგი გაუმაგრეს. მივიდნენ თუ არა პეტერბურგში ჩვენი დეპუტატები, მაშინვე იერიში მიიტანეს მთავრობაზე და ანგარიში მოსთხოვეს. ქართველებმა მოახსენეს რუსების დეპუტატებს, რომ მთავრობა საშინლად სტანჯავდა ქართველ ხალხს, გლეხებს, მუშებს, დიდს, პატარას; მოახსენეს, რომ გენერალმა ბაუერმა მთელი ქართლი აიკლო, გენერალმა ალიხანოვმა მთელი გურია, იმერეთი, რაჭა და სამეგრელო გადასწვა, გადაბუგა, ააოხრა და გაატიალა. ჩვენმა დეპუტატებმა ყველაფერი მოაგონეს რუსეთის მთავრობას და მაშინვე მოითხოვეს სამსახურიდან გასვლა, მაგრამ ვერც ამან გასჭრა: მინისტრები ჯერ მაგრა სხედან თავთავიანთ ადგილებზე და სანამ ხალხი ძალით არ გამოჰყრის იმათ, ისინი ადგილიდგან დაძვრას არ აპირობენ.

მაგრამ სათათბირო მარტო არ არის. მთელ რუსეთში გლეხები და მუშები იკრიბებიან და უთვლიან დეპუტატებს: ყოჩაღათ იყავით, მიწა და თავისუფლება მოითხოვეთ და თუ მთავრობამ უარი გითხრათ, ჩვენ აქა ვართ: შევიკრიბებით, შეეერთდებით, ძმურად შევკავშირდებით და ძალით ვიშოვით მიწასაც და თავისუფლ~~ებ~~ ~~ბ~~ასაცაო. მთავრობას, ცოტა არ იყოს, მუქარისა შეეშინდა. ჯერ არაფერი დაუთმია ხალხისათვის, მაგრამ ეტყობა ცუდ გუნებაზეა. თუ ხალხმა უკან არ დაიხია, თუ ყველამ ერთმანეთს პირი მისცა, ერთმანეთ ხელი გაუწოდა და შეერთებული ძალით იერიში მიიტანა შეშინებულ მთავრობაზე, ის მაშინვე იარაღს დაჰყრის და ხალხს ყველაფერს დაუთმობს. მაგ-

რამ თუ ხალხი შეშინდა, თუ განზე გაიწია და დაიქსაქსა, მთავრობა გაიმარჯვებს და სამუდამოდ შეაბამს ბატონყმობის უღელში ისედაც დაბეჩავებულ და დამონებულ ხალხს.

საჭიროა ერთობა, ძმობა, ვაჟკაცობა და მაგარი გული, თორემ სიმხდალით, ლოდინით თხოვნითა და დაქსაქვსით ვერავინ ვერაფერს მიიღებს.

ქართლელი გლეხი.

სათათბიროს მშრომელთა ჯგუფის პროგრამა

(მოქმედების გეგმა)

[სათათბიროს წევრები, დეპუტატები სხვა-და-სხვა წოდების წარმომადგენელნი არიან, სხვა-და-სხვა ინტერესებს იცავენ; მართალია, უველანი თვითმპყრობელობას ებრძვიან ღღეს, მაგრამ მათ შორის მაინც ის განსხვავებაა, რომ ზოგნი მექარხნეებს და მემამულეებს ემხრობიან, ზოგნი— გლეხებს და მუშების. გლეხების და მუშების ინტერესების დამცველია სათათბიროში **მშრომელთა ჯგუფი,** რომელმაც გამოაცხადა შემდეგი:]

რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა გამოწვია დიდებულის ბოდიტიკურმა (სახელმწიფო) და ქონებრივმა ჩაგვრამ. ამ მოძრაობაში ბერეული ადგილი დაიკავა მშრომელმა ხალხმა: გლეხობამ, ქარხანა-ფაბრიკის მუშებმა და აგრეთვე განათლებულმა მუშაკებმა.

ეს მშრომელი ხალხი იტანჯება ყველაზე მეტად უკანონობისა, ძალა-მომრეობისა, სიღატაკისა და შეგიწროებისაგან. ყველაზე მეტად ეს გრძნობს, თუ რამდენად მავნებელია რუსეთის ძველი სახელმწიფო მართვა-გამგეობა, თუ როგორ გაღატაკდა და ანხრდა ქვეყანა მოხელეების (ჩინოვნიკების) წყალობით.

მშრომელი ხალხია განმათავისუფლებელი მოძრაობის უმთავრესი ძალა, ის ეწევა შრომას, ის იბრძვის. მშრომელი ხალხი იბრძვის დღეს ხალხური მართველობის დამყარებისათვის, რომ ამით მოუბოგოს ქვეყანას ქონებრივი კეთილდღეობა, თავისუფალი ცხოვრება და შეექმნას აუცილებელი ბერობები განვითარებისათვის.

გლეხებმა, ქარხანა-ფაბრიკის მუშებმა და განათლებულმა მუშაკებმა აირჩიეს თავის მსრით დეპუტატები სახელმწიფო სათათბიროში და მათ მიერ არჩეულმა დეპუტატებმა შეადგინეს სათათბიროს ცალკე, მშრომელთა ჯგუფი.

I. მშრომელთა ჯგუფს, ვიდრე ის შეუდგება დღეს რაიმე მუშაობას სათათბიროში, თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია იმის მოახსენა, რომ სამართალი აღდგენილ იქნას იმათთვის, რომელნიც იბრძოდნენ თავისუფლების მოსაპოვებელად.

დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს და დაუბრუნდეს წინანდელი უფლება ყველას, ვინც კი დატუსაღებულია ციხეში, გადასახლებულია სხვაგან, გაგზავნილია კატორღაში, ან დასჯილია სხვანაირად იმისთვის, რომ ბრალად ედება ბოლიტიკური დანაშაულობა (ესე იგი, ვინც წინააღმდეგია დღევანდელი სახელმწიფო მართვა-გამგეობის), სრულუნოებრივი დანაშაულობა (ე. ი. ვინც მაგალითად არ ემორჩილება სინოდის დადგენილებას, ან ბატივისცემით არ მოეპყრა მდვდლებს), ან აგრარული დანაშაულობა (ე. ი. ვინც ებრძოდა მემამულეებს უსამართლო შეგიწროებისთვის). დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს აგრეთვე ყველა, ვინც დასჯილია გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისათვის, რისიმე დაბეჭდვისათვის, სამსედრო კანონების დარღვევისა და მთავრობისათვის წინააღმდეგობის გაწევისათვის. უნდა მოისპოს დაუყოვნებლივ ყველა საქმე, რომელიც აღძრულია ამ გვარ დანაშაულობის შესახებ. ვინც გადასახლებულია სხვაგან, იმას საზღვიდან უნდა მიეცეს სახლში დასაბრუნებელი საბჭო.

II. მშრომელთა ჯგუფის მიზანია, ასლანვე შეუდგეს **მიწის საქმის** გადაწყვეტას. ამისათვის საჭიროდ მიაჩნია, რომ დაუყოვნებლივ გამოიტეს კანონი, რომლის ძალით საზღვიანო, საუფლისწულო (სელმწიფის და მისი ნათესავების), საეკლესიო-სამონასტრო, კერძო მემამულეების და სხვა მიწები, რომელთა საშუალებით გაუგლეფილია და დამონებული მუშა ხალხი, გადადის ხალხის საზოგადო საკუთრებად, რომ ეს მიწები დაურიგდეს დასამუშავებლად იმათ, რომლებსაც ცოტა აქვთ მიწა ან საერთ არა აქვთ და რომელთაც საკუთარის შრომით დასამუშავონ მიწა.

დაწვრილებითი გადაწყვეტა მიწის საქმისა და მისი განსორციელება თანახმად ამ კანონისა უნდა მოეწყოს ადგილობრივ, რისთვისაც ხალხი საეკლესიო, ბერდაბერი, თანასწორი და ფარული კენჭის ერთი ირჩევს ასისოფლო, საძმაზრო და საგუბერნიო კომიტეტებს, რომელნიც სრულიათ თავისუფალნი უნდა იყვნენ მთავრობის ეოველგვარ გავლენისაგან. ეს კომიტეტები მოამზადებენ მასალას საქმეთ საბოლოოდ გადაწყვეტისათვის და შეიმუშავებენ, თუ როგორ და რა საშუალებით უნდა მოეწყოს რუსეთში საადგილმამულო საქმე. სანამ ახალი მიწის-

მეფობელობა დამყარდებოდეს, მიწის იჯარის საქმეები უნდა დაევალის იმავე კომიტეტებს.

დაუყონებლივ უნდა გაუქმდეს აგრეთვე სასელმწიფო სათავად აზნაურო და საგლეხო საადგილმამულო ბანკები, რადგან მათი მოქმედება მავნებელია მშრომელი სალხის ინტერესებისათვის.

III. მშრომელთა ჯგუფი ადიარებს, რომ დამშვიდებული და ნაყოფიერი მუშაობა სათათბიროში შეიძლება მხოლოთ მაშინ, როდესაც დამყარდება სრული მოქალაქობრივი თავისუფლება, მოისპობა ეოველგვარი შემაფერხებელი, გასინაკუთრებული, გაძლიერებული და სამხედრო წესები და როდესაც სათათბიროთ არჩეულ იქნება სეოველთა, ბირდაბირი, თანასწორი და ფარული კენჭის ერით, ყველასგან განურჩევლათ სარწმუნოებისა, სქესისა და ეროვნებისა.

IV. მშრომელთა ჯგუფი მიიღების მსედველობაში დღევანდელ მდგომარეობას და, თუმცა დღევანდელი სათათბიროთ არჩეულია მეტად ცუდ ბირობებში და იგი ვერ არის ნამდვილი სალხის წარმომადგენელი, მაინც ეს სათათბიროთ მიაჩნია ერთად-ერთ დაწესებულებად, რომელსაც შეუძლია მოაწესრიგოს რუსეთის ცხოვრება და მისცეს სალხს საშუალება, საკანონოთ გამოსთქვას თავისი სურვილი და მისწრაფება. ამიტომ სათათბიროთ დაუყონებლივ

1) უნდა გააუქმოს სიკვდილი და ასჯა. 2) მთელ რუსეთში უნდა მოისპოს გაძლიერებული, საამსედრო და სხ. წესები; უნდა მოისპოს აგრეთვე განსაკუთრებული საამართლოები პოლიტიკურ დანაშაულთათვის, ადრ ურდა იეკნენ საპოლიციო დარჯები. 3) უნდა მოისპოს ყველა კანონები და წესები მუშათა კავშირების, ორგანიზაციების და გაფიცვის წინააღმდეგ. 4) უნდა გაუქმდეს წოდება და სხვა და სხვა ეროვნების, სარწმუნოების და ენის შეეწროვება. საერთო სასელმწიფო საქმეებისათვის უნდა იხმარებოდეს რუსული ენა, ადგილობრივ საქმეებისათვის — ადგილობრივი ენა. 5) უნდა გამოიცეს კანონები პირადუნების, ბინის და მიწერ-მოწერის ხელშეუხლებლობის და ბეჭდვის, სიტყვის, კრების, გაფიცვის, წასვლა წამოსვლის თავისუფლების შესახებ. 6) მინისტრებთ უნდა არჩეულ იქმნენ ისეთი კაცები, რომელთაც ენდობა სათათბიროს წევრთა უმრავლესობა. სათათბიროს ყოველს წევრს უნდა შეეძლოს შეეკითხოს მინისტრებს ამა თუ იმ საქმის შესახებ. 7) უნდა გაუქმდეს სასელმწიფო საბჭო და ყოველივე კანონი, რომელიც ზღუდავს სათათბიროს უფლებას. 8) ყოველ მოქალაქეს (ადამიანს) უნდა შეეძლოს სამართალში გაიწვიოს მთავრობის კაცები დანაშაულობისთვის და გადასცემინოს მათ, თუ ზარალი რამ მიიღო მათგან უკანონოდ.

V. მშრომელთა ჯგუფი ადიარებს, რომ აუცილებლად საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა გადაწყდეს **მუშების საქმე** ისე, როგორც არა ერთხელ მოუთხოვია მუშებს:

1) უნდა შემოღებულ იქმნას 8 საათის სამუშაო დღე, ისე კი, რომ ქირა არ უნდა შემცირდეს, და დაწესდეს კვირაში 42 ს. შეუწყვეტელი მოსვენება. ზოგიერთ ხელობაში და წარმოებაში, რომელიც მეტად მავნებელია ადამიანის ჯანმოელობისათვის, სამუშაო დღე უნდა იყოს კიდევ უფრო ნაკლები. 2) უნდა დაწესდეს უმცირესი (მინიმალური) სამუშაო ქირა ადგილობრივი მუშების მიერ ადგილობრივი პირობების მისედვით. 3) უნდა დაცულ იქმნას ქალის და ბავშის შრომა. 4) სრულიად უნდა აიკრძალოს ზედმეტი მუშაობა. 5) უნდა აკრძალულ იქმნას ღამის მუშაობა გარდა იმ შემთხვევისა, რადესაც ტექნიკური პირობებისა გამო ეს შეუძლებელია. 6) სასელმწიფო და ზღვევა მუშებისა მწარმოებელთა სარჯით. 7) უნდა დაისაჯოს მწარმოებელი, რადესაც დაარღვევს შრომის დაცვის კანონს. 8) სრულიად უნდა შეიცვალოს საფაბრიკო ინსპექტია, მას უნდა დაემორჩილოს ეოველგვარი შრომა, ინსპექტია უნდა იმეოფებოდეს ადგილობრივი მუშათა ზედამსედველობის ქვეშ. 9) უფასო საავადებულო დასმარება მუშათა და მათი ოჯახებისათვის; ადგილობრივმა თვითმართველობამ თავლეური უნდა აგებინოს, რომ მუშები ცხოვრობდენ ჭიგიენურ (სად) პირობებში. 10) უნდა დაწესდეს შემარიგებელი კამერები (კანტორები) უკმაყოფილობის მოსასპობად მუშათა და მწარმოებელთა შორის, კამერაში ორივე მხრიდგან თანასწორად უნდა იეკნენ არჩეული წევრები. 11) საკანონოლებულო განსოლება მუშებისა სკოლის გარეშე .და ბიბლიოთეკა-საამეითსველობების გამართვა ქალაქებსა და ფაბრიკებთან. 12) მოსპობა ჯარიმებისა, გამორიცხვებისა და გაჩხრეკისა.

მშრომელთა ჯგუფის შესედულობით, ეს საქმეები ისე, როგორც მიწის საქმე, შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ადგილობრივი ორგანიზაციების დასმარებით — მუშათა დეპუტატების საბჭოთა

შემწეობით, რომელთა წევრები უნდა აირჩიონ ადგილობრივმა მუშებმა საუოველთაო კენჭის ერთი და რომელთაც უნდა იკისრონ მუშათა საკითხის დაწვრილებითი შემუშავება. ეს მუშათა დეპუტატების საბჭოები დაამზადებენ მასალებს და გამოსძებნიან ამ საშუალებას, რომლის შემწეობით უნდა გადაწყდეს მუშათა საქმე.

შემდეგ მშრომელთა ჯგუფს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია აგრეთვე საერობო და საქალაქო თვითმართველობის რეფორმა (შეცვლა, გაუქმება).

ადგილობრივი საზოგადო დწესებულებანი, აგრეთვე ბატარა საერობო ერთეული, უნდა მოეწყოს თანასწორთა საუოველთაო, თანასწორი, ბირდაბირი და ფარული საარჩევნო უფლებისა და სქესის, სარწმუნოების და ეროვნების თანასწორობისა.

უკანასკნელი საქმე დღევანდელი საათობირობისა იქნება საუოველთაო არჩევნების განსორციელება ასადი საზელმწიფო საათობირის წევრების ასარჩევად. საუოველთაო არჩევნები უნდა იყოს ბირდაბირი, თანასწორი ყოველი ადამიანისთვის განურჩევლად სქესისა, საარწმუნოებისა და ეროვნებისა; კენჭის ყრა უნდა იქნეს დაფარული. —

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

გაგზავნილთა რაოდენობა

ჩვენის ქვეყნიდგან დიდძალი ხალხი გადაასახლა მთავრობამ რუსეთში. სულ გაუგზავნიათ და განზრახულია გაიგზავნოს 1000 კაცი.

თავისუფლების მებრძოლნი

ამ რამდენისამე თვის წინად ქართლის სოფელ ხოვლედან რუსეთში გადაასახლეს ოთხი კაცი: მიხეილ კოშაძე, ოსა ხიზანაშვილი, ილია გიორგაშვილი და ვასო გიორგაშვილი. ყველა ესენი შიდა რუსეთში გადაასახლეს. ორი მათგანი უკვე გარდაიცვალა: ოსა ხიზანაშვილი ქალაქ ვოლოგდაში, მიხეილ კოშაძე მოსკოვის საპყრობილეში. ხიზანაშვილის დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო და დიდის პატივითაც დაასაფლავეს. ამხანაგებმა კუბო გვირგვინებით შეამკეს. პირველს დარჩა ცოლი და ხუთი წვრილშვილი, მეორეს ფეხ-მძიმე ცოლი და ერთი შვილი. არც ერთს ცხოვრების სახსარი არა აქვს.

გაფიცვა

სამტრედიის რაიონში მსხვილ მემამულეთა მიწები მეტ წილად დაუმუშავებელი არის, რადგან სამტრედიის მხარეს ბევრს ალაგას გლეხები გაფიცულები არიან. ზოგ ალაგას გაფიცვა მოწყობილ და მოწესრიგებულია. მაგ. კულაშში, საცა მიქელაძეების მიწებია დაუმუშავებელი, თვითეულ საათისთაოს თავისი ამორჩეული კაცები ჰყავს, ყველა საათისთაოებს კი საერთოდ არჩეული კაცებიც ჰყავთ. მთავრობა ჯერ-ჯერობით არ ერევა, თუმცა რამდენიმე მემამულემ მთავრობას კიდეც სთხოვა, მაგრამ რაღაცა მიზეზების გამო, მთავრობამ ჯერ-ჯერობით ყური არ ათხოვა მემამულეების თხოვნას. რიონ გაღმა დაუმუშავებელია დარახველიძის მამული, ს. კულაშში მიქელაძეების მიწები, ხონელ დ. ჩხიკვაძის დიდი მამული, სოფ. იანეთში ნაკაშიძის მწირი მიწები და სხვა.

ამ ჟამად გლეხებს ცოტა მიწა აქვთ დამუშავებული, მაგრამ უკეთესი მომავალის იმედით გამხნევებული ხალხი გულს არ იტეხავს.

სოფ. ჭადის-ჯვარი

აზნაურმა არჩილ ნატიშვილმა უსასყიდლოდ გადასცა თავისი მამული სოფელს. გრიგოლ ბეჟანის ძეს ტატიშვილს უსასყიდლოთ გადაუცია სანადელო მიწები მონადელე გლეხებისათვის.

რა დაბარეს გლეხებმა სახელმწიფო სათათბიროს წევრებს?

31 მაის საღამოს მატარებელს გომში გლეხები დაუხვდნენ და სახელმწიფო სათათბიროს მომავალ წევრს სვ. წერეთელსა დაბარეს რომ თქვენ მიწა და თავისუფლება მოითხოვეთ და ჩვენ ჩვენი მოვალობა გვესმის და თქვენს თხოვნას მხარს დაუჭერთო. თან წერილი გამოატანეს. ამ წერილში აღწერილია გლეხების უნუგეშო მდგომარეობა და გაჭირვება. წერილი ასე თავდება: „აღარ შეგვიძლიან ამისთანა ცხოვრება. ჩვენ გვინდა მიწა და თავისუფლებაო“ — ყარაიაზში სახელმწიფო სათათბიროს მომავალ წევრებს რუსის გლეხები დაუხვდნენ და თავიანთ მამასახლისის ხელით წერილი ჩააბარეს. ამ წერილში აღწერილია მათი გაჭირვება და ადგილობრივ

მთავრობის შეაწუხება. დასასრულ იგინიც მიწას და თავისუფლებას ითხოვენ. როცა სათათბიროს წევრმა აუხსნა მათ, რომ გამარჯვების მოსაპოვებლად საჭიროა სათათბიროს წევრთ მხარი დაუჭირონ გაჭირების დროს გლეხებმაც, უკანასკნელებმა შეჰფიცეს, რომ ოღონდ მიწა და თავისუფლება მოითხოვეთ და ჩვენც შველას უეჭველათ ამოგიჩენთო.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘ

თელავის მაზრის სოფელ წინანდალში, ნაფარეულში, ურიათ უბანში და იყალთოში ხალხს ივნისის დასაწყისში ყრილობები მოუხდენია. ხალხი ბლომათ დასწრებია ყრილობას. ლაპარაკობდნენ სახელმწიფო სათათბიროსა და გლეხების გაჭირვებაზე.

სოფ. საგარეჯო (გარეთ კახეთი)

როგორც ყველგან ისე საგარეჯოში აქამდინ ძველი წესების მომხრენი ბატონობდენ. ხალხი მიყუჩებული, სულ განაბული უგდებდა ყურს იმ ბრძოლას, რომელსაც რუსეთის რევოლიუციას ვეძახით. ხალხი იტანჯებოდა, როცა ესმოდა იმერეთისა, ქართლის, ბალტიის მხრის, მოსკოვის და სხვა ადგილების აოხრება გახრწნილი მთავრობისაგან; ესმოდა ყველა ეს და მით უფრო მძლავრდებოდა ზიზღი ძველ წესწყობილებისადმი. იანვარს აქეთ აღარ გამართულა მიტინგები (კრებები), არა გვსმენია ცხარე და მართალი სიტყვები „სოციალისტებისა“ ბურთი და მოედანი ხულიგანების, სოფლის მყვლეფავების ხელში იყო. ეხლა სურათი იცვლება. გლეხები დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალს სათათბიროს და აღტაცებაში მოდიან მშრომელი ხალხის დამცველ დეპუტატების სიტყვებისაგან.

გლეხების გამოღვიძებისა გამო საშიშო გახდა ზოგისთვის წინანდელი ყვლეფა და უზომო ჩაგვრა. აქ მამასახლისს სხვებისათვის მიუყიდნია სოფლის სათიბი ადგილები. სოფელი საშინლათ აღელდა, უთივოთ დავრჩითო. სოფლის ყრილობაში (11 ივნ.) მამასახლისი გამოცვალეს და სხვა დააყენეს. აგრეთვე ბოიკოტი გამოუცხადეს მამასახლისს, იოსებ ყირმულაშვილს და შაქ. პეპონოვს თივის ყიდვისთვის. მათ ჯარიმათ უნდა გადაიხადონ ოცოცი თუმანი. ასე სასტიკად დასაჯა სოფელმა ისინი, უჩვენოდ რად წაიყვანეთ საქმეო.

15 ივნისს თფილისის გუბერნატორ უნდა ჩამოეველო, ივრის ხიდზედ სიღნაღისკენ. აქაური ხულიგანები და სტრაჟნიკები სცდილობდნენ, სოფელი პურ-მარილით დაუხვდესო, მაგრამ ამაოთ ჩაიარა მათმა შრომამ. —

სტუმარი.

ᲥᲘᲖᲘᲧᲘ

ბოდბისხევის საზოგადოებამ 4 ივნისის ყრილობაზე დაადგინა: აიწეროს ყოველგვარი მათი გასაჭირი და გადაეცეს ხალხის მიერ არჩეულ სათათბიროს წევრებს: ჟორდანიას, წერეთელს, რამიშვილს და სხვ. სახელმძღვანელოთ.

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲨᲘ

ლანჩხუთში, სახელმწიფო სათათბიროს წევრთა მონაწილეობით, ამ თვის პირველს გაიმართა სახალხო ყრილობა. განიხილეს ადგილობრივ მართვა-გამგეობის საქმეები. ყრილობამ საჭიროდ იცნო, რომ სკოლებში სწავლება, სასამართლოებში საქმის წარმოება და ადმინისტრატიული მართვა-გამგეობა ქართულს ენაზე სწარმოებდეს.

ᲛᲣᲨᲐ ᲛᲘᲒᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲕᲠᲘᲢᲐ

9 ივნისს ფოთის ახლო დახვრიტეს მუშა მიგინეიშვილი, რომელსაც ბრალად ედებოდა კერძო ვექილის პლოხოტნიკოვის მოკვლა. წინა დღეს განსვენებულს გამოუცხადეს, ქუთაისში უნა გადაგიყვანოთო. საწყალს იმედი მიეცა, იქნება ავცდე სიკვდილსო. მეორე დღეს ბორკილ გაყრილი და ჯარ შემორტყმული გაიყვანეს გარედ, შემდეგ შეუკრეს ხელები, პირი-სახე აუფარეს, პირში რაღაც ჩაუდვეს — არ იყვიროსო, ჩასვეს ფურგუნში და დასახვრეტად წაიყვანეს. მისდევდა სამი როტა სალდათი. ქალაქს ამ დროს ეძინა და არ უწყოდა, იქვე გვერდზე რა საშინელი ამბავი ხდებოდა. როდესაც მიიყვანეს, მიგინეიშვილმა იკითხა, ჩამომახრჩობენ თუ დამხვრიტავენო. პასუხის შემდეგ თითონ მივიდა ბოძთან და დადგა. მიაკრეს ბოძზე. რვა-ცხრა საჟენის მანძილიდან გაისმა 18 სალდათის თოფის სროლის ხმა. სასიკვდილოთ განწირულმა ოდნავ თავი დაჰკიდა, მაგრამ ისევ მაღლა აიღო და გასწორდა. ექიმმა განაცხადა, ცოცხალიაო. გაუსინჯეს სალდათებს თოფები და ხელ-ახლად უბრძანეს გასროლა. ტანჯული გამოესალმა ამ

წუთი-სოფელს. იმისი გვამი იქვე ჩაფლეს მიწაში, შემდეგ სალდათები ზედ საფლავზედ გაატარეს და წაიყვანეს. გავარდა თუ არა ქალაქში ხმა, მიგინეიშვილის დახვრეტის შესახებ, მუშაობა შესწყდა ქარხნებსა, სახელოსნოებსა, ნამთ-სადგურსა და ბაზარში. შინ წავიდნენ მეეტლეები და მედროგეები. ბულვარში რავდენიმე საგლოვიარო დროშა აღმართეს. ამხანაგმა მუშებმა მკლავებზე შავი ნიშნები გაიკეთეს. პოლიციაც მოემზადა: დაიბარა ჯარი და დარაზმდა. ასე გამოესალმა წუთი-სოფელს ახალგაზდა, ჯან-ღონით სავსე მიგინეიშვილი იმ დროს, როდესაც მთელი რუსეთი ერთი კაციერთ იძახის — „მოისპოს სიკვდილით დასჯაო“!

სალდათების მიტინგი ბათუმში

კვირას 11 ივნისს, ბათუმში სახოლერო ბარაკების მახლობლად გაიმართა სალდათების მიტინგი. წარმოითქვა მრავალი სიტყვა. ლაპარაკს ყველა გულმოდგენით უგდებდა ყურს და გარეგანი. მშვიდობიანობა არაფრით არ დარღვეულა. როდესაც მიტინგი დასრულდა და შეუდგნენ დადგენილების დაწერას, რომელიც სახელმწიფო სათათბიროში უნდა გაეგზავნათ მშრომელთა ჯგუფისათვის, გამოჩდნენ ყაზახები დი მიტინგი დაიშალა. მეორე დღეს სალდათებმა არეულობა დაიწყეს. სალდათების დასამშვიდებლად დიდ ძალი ჯარი გაგზავნეს ქუთაისსა და თბილისიდგან. ქუთაისიდგან, სხვათა შორის, ჩავიდა ტყვიის მტყორცენელთა როტა ზარბაზნებით. საზოგადოდ, ამ ბოლო დროს ჩვენებურ ჯარში რაღაც მითქმა-მოთქმაა. მიტინგი გაუმართავს აგრეთვე ხაშურშიაც იქ მყოფ სარკინისგზო ბატალიონს.

სალდათების საქმე

მარტის ბოლო რიცხვებში ტფილისის მიგრელსკის მე-16 გრენადერის პოლკში შეტაკება მოხდა განმათავისუფლებელ მოძრაობის ნიადაგზე. შეტაკების დროს 6 კაცი დაიჭრა. ამ საქმის გამო პასუხის გებაშია მიცემული 27 სალდათი, რომელთა საქმე უნდა გაერჩიოს სამხედრო სასამართლო 22 ივნისს ამ სალდათების საქმემ ქალაქშიც და ჯარებშიც დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია.

რუსეთი

გლეხთა მოძრაობა.

დადგა ზაფხული და მოძრაობა სოფლად მოედო რუსეთის მოედო. გაზეთების ახალ-ახალი ამბები მოაქვთ სასადგილო-მამულო მოძრაობის შესახებ, გებერნიათ არ არის რუსეთში, სადაც გლეხობა უკმაყოფილებას არ აცხადებს.

მალო-არქანგელსკის მაზრაში (ორლოვისგუბ.), კურკინის მამულში, გლეხები ბალახს სთიბავენ. ამ მაზრიდან ჯარში ასლად გაწვეულნი უარს ამბობენ ფიცის მიღებაზე.

— ს. გლომაზდინში (კურსკის გუბ.), ზაბოლოტკის მამულში 700 მუშა გაიფიცა. მემამულემ 9 საათის სამუშაო დღე შემოიღო და მუშებმაც გაფიცვა შესწყვიტეს.

— ბერდიჩევის მაზრაში (კიევის გუბ.) დაიწყო გლეხთა მოძრაობა. გლეხებმა 60 დესეტინა მიწა ჩაიგდეს ხელში. მემამულემ მიიყვანა 2 დრაჯი, რომელთაც შეეშინდათ გლეხებისა და გაიქცნენ. შემდეგ მიიყვანეს კიდევ 25 დრაჯი, მაგრამ ამათაც შეეშინდათ და დაეკარგენ ალარდი.

— იუროვკაში (კიევის გუბ.) მემამულეს მოუსურვებია მამულის მიეიდვა ჩარჩისათვის. მაშინ იუროვკელები მისულან ამ ჩარჩთან და უთქვამთ, არ იყიდო ის მიწა რომელიც გლეხების ოფლითა და სისხლითაა მორწყულიო. საქმე ამითა გათავებულა, რომ გლეხებს კარგათ უცემიათ მებატონისათვის, სოდო იმისი მამული ეუკლიათ.

— რეჩიცკის მაზრაში (მინსკის გუბ.) გლეხების მოძრაობაა. მემამულენი სცდილობენ მიწების გაყიდვას. ორიოლის და სარატოვის გუბერნიაში გლეხები მებატონეთა მამულებში სთიბავენ და თავისუფლად ძოგებენ საქონელს.

— მოსკოვში ამა კვირეულდა, რომ გლეხების მოძრაობა ვოლგის ნაპირებზე საშინლად ძლიერდებაო. ამ მოძრაობას ადგილობრივი მუშები მსარს უჭერენ.

— ჩერნიგოვის გუბერნიაში მემამულენი ძლიერ დაშინებულნი არიან გლეხების მომავალი მოძრაობით, რის გამოც სოფელს თავს ანებებენ და ქალაქებში სახლდებიან.

— კურსკის გუბერნიაში მემამულეებსა და გლეხების შორის უთანხმოება უფრო და უფრო მწვავდება. ხშირდება დარაჯებთან შეტაკება. ვიცმ

გუბერნატორის ბრძანებით, 200 ეზოხი გაგზავნეს.

— კიევის და ხოდოლის გუბერნიებში გლეხების სამუშაო ქირის ნახრი შეუდგენია და ზოგან სასრულეშიც მოგვეგვო ეს ნახრი. თუ სიწიროებ მოითხოვს, გლესები მზად არიან გაფიცვ მოსდინონ.

— სუჯის მაზრის სოფ. ბორშნაში არეულობა მოხდინა ორი ათას გლესმა. ბოქაულმა დასამშვიდებლად რაზმი მოიყვანა, მაგრამ გლესებმა იფრინეს.

— რიაზანის გუბერნიაში გლესების ძალით გაუგდიათ ხოლიცა და დარჯები, რომელნიც სოფელში გაუგზავნიათ ხალხის „დასამშვიდებლად“.

— ბოგოდუხოვის მაზრის სოფ. დუსკოვში გლესების ეზოხებთან მოსულიათ შეტაკება. ეზოხები ქვებითა და ორთოიებით დაუფრენიათ. ეზოხების მაგივრად ახალი ჯარი მიუსვამთ გლესებისათვის.

— ხსკოვის გუბერნიიდან ხეტერბურგში მისული ერთი გლეხი მშრომელთა ჯგუფთან მოსაფარკებლად. ეს გლეხი ამბანაგებს გუგზავნიათ. გლეხს გინუტხადებია, რომ მიწა დვთისაა და არავის უფლება არ უნდა მიეცეს დასაკუთრებისა. მიწა საზოგადო უნდა იყოსო.

— სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი ამ დღეებში დიდ კრებას მართავს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ, კავშირის წევრების გარდა, რუსეთის სოციალისტურ პარტიების წარმომადგენელნი.

— 11 ივნისს კონსტანტინოგრადში (ხოლტავის გ.) გაიმართა დიდებული კრება ახლო-მახლო მცხოვრებ გლეხებისა. უბნის ზედამხედველმა დაინახა, რომ ამ კრების წინაშე ვიდაცა სოციალისტურ გაზეთს ჭეითხულობდა, მივიდა და წინადადებას მისცა შეკრებილთ, დაშლილიყვნენ, მაგრამ, რომ შესედა, ხალხი მეტად ადელვებული იყო, გაიქცა; მას მაღე წამოწიენენ და ძალზე სცემეს, სცემეს აგრეთვე ასხოლიცია დარჯსა და გოროდოვოის. შემდეგ ხალხი მივიდა ასხოლიცია ასამართველოში, სცემა მაზრის უფროსს და ქვები დაუშინა სტრაჟნიკთა რაზმს, რომელთაც თოფები გაისროლეს. მოკლულია 3, დაჭრილია 3.

— სპასსკის მაზრაში (ეზანის გუბ.) გლეხები მემამულეების ტყეებს არ ეჩეხინებენ იმ იმედით, რომ მაღე ჩვენ დაგვრჩებაო.

მუშათა მოძრაობა

კალუგაში გაფიცვა, მუშებმა მატარებელი შეაჩერეს ორის საათის განმავლობაში და განუშვეს მხოლოდ მგზავრების თხოვნით, სადგურიდან 2000 კაცი წავიდა გუბერნატორთან და მოსთხოვა დაპატიმრებულ მუშების განთავისუფლება. გუბერნატორმა განაცხადა, მაგის შესახებ შუამდგომლობა აუდგარ მინისტრის წინაშეო. ამის შემდეგ მუშებმა სიტყვები წარმოსთქვეს, გადასწყდა, არ შესწყვეტონ გაფიცვა ამბანაგების განთავისუფლებამდის. თუ არ განთავისუფლონ და მთელ ქალაქში გაფიცვა გამოაცხადონ,

— სრულიად რუსეთის რკინის გზათა კავშირს წევრებისაგან მიუმართავს მოწოდებით, რომელშიც, აღნიშნავს რა მთავრობის ძალმომრეობას ურჩევს, მზად იყვნენ სათანბირონ მშრომელთა ჯგუფისაგან მხარის დასაჭერად.

— მოსკოვის ბირჟაზე თურმე დარწმუნებული ყოფილა, რომ შეიარაღებული აჯანყება აუცილებლად მოხდება. ამის გამო ქალაქდადების ფასი ძალიერ დაეცა თურმე.—

— ხოლიციის ცნობებით, მოსკოვის რაიონის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებს განკარგულება მიუღია, მოამზადონ მებრძოლი რაზმები და დაიწყონ ვარჯიშობა სროდაში.

— მოსკოვის გუბერნიაში მუშებისა და გლეხების მიტინგებია. ქალაქ გარედ თითქმის ყოველ დღე იმართება მიტინგები. იმდენი მუშა და გლეხობა იკრიბება, რომ ხოლიცია ვერას გაბედავს. თვით ქ. მოსკოვშიც უფრო და უფრო ხშირდება უმთავრეს ადგილებში განთავსებული კაცების და მუშების მიტინგები.

— ქ. შუაში (ვლადიმირის გუბ.) 28 მაისს მუშებმა გამართეს მიტინგი, რომელსაც ათასამდის კაცი დესწრო, ეზოხები და ხოლიცია დაეცნენ ხალხს. როგორც ამბობენ, 50 მდის კაცი დაშავდა, მოკლული არავინ არის.

მოძრაობა ჯარში

კურსკის ჯარში მღელვარება არა სცხრება, კიდევ უფრო ძალიერდება. კრებები და მიტინგები ყოველ დღე იმართება. ქალაქში ხმები დადის, რომ ჯარი ასპეტრობილის აკლებას და ხოლიტიკურ პატიმრების განთავისუფლებას აპირებსო. ჯარი გადაწყვიტა აცხადებს, რომ არ გაუგონებთ უფროსებს, რომელნიც გლეხებს გვაზოტინებენო, „ადარ

ვესვრით ჩვენ ძმებს გლეხებს, — ამბობენ სალდათები, — რომელნიც მიწასა და თავისუფლებას თხოულობენ“. უფროსები არიგებენ და ამშვიდებენ სალდათებს, მაგრამ ისინი თავისას არ იშლიან.

— ნოვოჩერკასკის ბოლკის უფროსები ძლიერ უკმაყოფილონი არიან სალდათებისა. მთელ ბოლკში მარტო ერთი როტა მაინ გამგონე.

— სევასტოპოლში მომხდარა მატროსებისა, სალდათებისა და მუშების მიტინგი. გადაუწყვეტიათ, მოსთხოვონ სათაობიროს, რომ უფრო მსნედ იმოქმედოს.

— დონის ყაზახთა შორისაც დიდი მოთქმა-მოთქმაა. დონის ყაზახები ძლიერ გაბატკებულნი არიან თანამედროვე მოძრაობით, რადგან 3 წელიწადია, სულ სამსახურში ატარებენ დროს. მთავრობა ყაზახებისაგან ახალ-ახალ ბოლკებს აგროვებს. ერთხანთ მთავრობა ჭაბრდებოდა ყაზახებს მდგომარეობის გაუმჯობესობას, მაგრამ ბირობა დაბირებათ დარჩა. გარდა ამისა, სამხედრო სამინისტრო უნდობდათ ეპერობა ყაზახებს და ჰოიტრები სხვა ბოლკებში გადაჭეავს. ამათ მაგივრათ კი ყაზახებს უნიშნავს სხვა ჰოიტრებს, რომელნიც არა მადავენ, რომ ისინი თავად ეურის სადევნელად არიან დანიშნულნი. ეგელა ეს ძლიერ ადელვებს ყაზახებს.

— ქ. ბოლტავაში ელეტის ბოლკის ჯარის კაცთა შორის დიდი მღელვარებაა. გაფიცვის გამოცხადების შემდეგ ჯარმა ჯერ საბერობიდე გატეხა და დაბატიგრებულია მსანაგები გაანთავისუფლა, შერე შეიარადებული ქალაქისკენ წავიდა მუსიკით. ზარად ჭქონდათ სევის ბოლკს შეერთებოდნენ. მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან დანარჩენმა ჯარმა ხელი შეუშალა. ხალხი დიდის ამბით უსვდებოდა ჯარს. თოფებს ისროდნენ ჭაერში. ასე იარა ჯარმა მთელ ღამეს და შეორე დღეს დილით დადგული დაბრუნდა ყაზარმაში.

— კრონშტატშიც ჯარის მღელვარება იზრდება. ქალაქში დარაჯთა რაზმები გაძლიერეს. მოელიან დიდ არეულობას. ჯარსა და მუშებში დაბატიმრება გახშირდა. ხალხი ძლიერ დაშინებულია.

— ბეტერბურგში ბრეობრაჟენსკის ბოლკში ამ ბოლო დროს ჯარის კაცთა წერილები მოსდით შობლებისა და ნათესავებისაგან. არიგებენ, „ამოარჩეულთა“ წინააღმდეგ ნუ წასვლთ, მაშინაც კი როცა მთავრობა გიბრძანებთ ჩვენ. ისინი გამოგზავნეთ იწერებიან,—რომ მიწა. და თავისუფლება მოიბოგონ“.

— ორენბურგში ყაზახებმა მხეცურად მოკლეს მუშა კოლოტუხინი. მოკლული დიდის ამბით დაასაფლავეს. სხვა გეორგეინთა შორის ურდდებას იქცევდა ყაზახებისაგან მიძღვნილი გვირგვინი შემდეგის წარწერით: „ყაზახების სიბნელის და განუგეოთარებლობის მსხვერპლს დარდით მოკლულ შეგნებულ ყაზახებისგან“.

„.....და, აჰა, მოვიდა მოგვი აღმოსავლეთიით“

(ზღაპარი)

I.

იეო მეფე ძლიერი, მდიდარი... იმისი სასახლე მზეს ეცილებოდა. მზე სასახლეს ანათებდა, თუ სასახლე მზეს, ძნელად გაარჩევდი. ადამიანს თვალს მოსტაცებდა იმისი უმშვენიერესი თვალგადუწვდენელი სასახლე...

ძრწოდნენ მეფის წინაშე ქვეშევრდომნი და მის ფეხის ნავალს ჭდოკდენ... ქურუმნი კიდევ ოოველ დღე და ღამ გუნდრუკს უმღერდენ და ადიდებდენ. ერს-კი აუწყებდენ: „ესე არს უფლისგან მირონ-ცხებული და მადლი მისი ამაზე გადმოსული“. ცაში უფალი და დედა-მიწაზე მეფე... იდიდოს მათი სახელი!... გაიძახოდა ერი და ორავეს მოწიწებით ეკიდებოდა.

რომელი უფრო ძლიერი იეო!?.. ერი ვერ არჩევდა, რადგანაც ორივეს გულ-წრფელად ევედრებოდა, მაგრამ ორივესგან ვედრება ერისა შეუწყნარებელი იეო. ორივე მუდამ ერუ იეო ვედრებისათვის და ორივე კი ეურ-მახვილნი, თუ ამოვნესას გაჭბედავდა ერი მათ სასაუვედურად...

სეტევა... ელვა... ნიადგარი... ზვავი... მეწერი თავს ეცემოდა ერს...

„...ეს უფლისა რისხვაა... ამბობდენ ქურუმნი რათა შეჭსტოდეთ უფალსა... სიტევით თუ სქმით უფლის წინააღმდეგნი ხართ და... ჩვენც კი არ გვიგდებთ და არ გვასაზრდოებთ... წელს ჩვენ ა: ამდენი და ამდენი არ აგვიდია...“

მსურვალედ ევედრება ერი უფალს. ქურუმთა შუამავლობით ბირობას უდების უფალს, მისი მოსიევეს და მას... მხოლოდ მას უკმევდეს გუნდრუკს და ბირიდგან ლუკმა გამოიღოს და მისი ქურუმნი ასაზრდოოს...

ღვთის რისხვისგან გასაღვურებულ ერს მეფე თავის ხვედრს სთხოვს...

...მეფევ ძლიერო, მოგვეცი შედავათი და შეგვაძლებინე შენი ბატიოსანისაგან...

— მოსანო... მრისხანედ უფიქრა მეფემ.

— მოსანი ვართ, მეფევ, და ამისთვის გევედრებით...

— ერო, გავიწყებთ... დაიწყეს ქურუმთ... რომ მადლა დმერთია და ძირს კიდევ მეფე... ამისთვის...

— ამისთვის ვევედრებით მეფეს და თქვენც, შეგვაძლებინოს...

— რა !?. მრისხანედ იეიქა მეფემ და უბძანა თავის მსახურთ, სულიც კი ამოსალანა მონებისათვის, თუკი ოდესმე ურჩობას გასწევდენ.

დაერიენენ მსახურნი ერს და მისი ვაება ცეს სწვდებოდა. უფლამდისაც თუ მიდიოდა მათი წიოკობა, არ ვიცი...

— მაგრე გინდათ თქვენ, ურჩნო! უფეიროდნენ ქურუმნი...

— გაგვატეავეთ... გაგვატეავეთ... ოდონდ სული შეგვარჩინეთ !.. ევედრებოდა ერი...

II

გადატაკდა ერი. სიდატაკეს ხომ სხვა და სხვა სენი მოსდევს. ასეც დაემართა ერს და იმასთან ერთად მეფესაც და მის ერთგულ მსახურთაც.

ჭკვიროობდა მეფე და მისი მსახურნი, თუ მის ოჯახს და ერთგულთ რად დაემართა ასეთი სენი. აბრწყინვებული სასახლე და ასეთი სიბნელე-ბნელა! გაოჯერა მთელი დასავლეთი. სულ თავის სასახლეში მოიწვია, რომ ოჯახი განეკურნა, მაგრამ უარესი ემართებოდა.

ჭკვიროობდა დასავლეთის მეცნიერი და ფილოსოფოსი, რაც კი ისიდავდა მეფის სასახლის ბრწყინვალებას, რაც მზის ბრწყინვალებას ეჯარებოდა, და სულებს უნუგეშოდ ჩაუშვებდა...

„ვერ გამიგია, ვერა !..“ თან ამას უმატებდა: „ღვთისგან არის უთოდ მოფლენილიო“... და მიდიოდა ისევ დასავლეთს, რათა საკვირველებანი ეუწყებინა თავისიანებისათვის...

...ქურუმნი კი მოწიწებით, როდესაც კი მეფე გადმოჭედავდა, ევედრებდენ დმერთს მეფეს და მის ოჯახს, რათა მისგან მირონ-ცხებულს, მის ოჯახს და მის მსლებელთ ძალა და განკურნება.. მოიწვიეს ტოტალანი და მკვდარნი წმინდანნი... მაგრამ...

... და, აჭა, მოვიდა მოგვი ადმოსავლეთით და სოფლიდან სოფლად მიმოვიდოდა. ეფელგან ერთი და იგივე კვნესა, ვაება, მუდარება მეუფისა და მეფისადმი...

„...უგუნურო, სოფელო... ადიმადლა ხმა მოგვმა მოსულმა ადმოსავლეთით, როდესაც მიმოვდოდ სოფლები.. ხანა შენ ხელთ არის.. გაანებე თავი ვედრებას და მუსლ-მოდრეკით სიარულს.. გაანძრიე ხელი, ფესი და ამოქოლე ჭალბი იგი, რომელიც ტელიერბს გისიებს, გაძინებს და სისხლს გიშრამავს...

...და გაუგონა სოფელმა მოგვსა მოსულსა ადმოსავლეთით და მიესია ჭალბს... ბევრგან ამოქოლა, ამოაშრო ჭალბი და, აჭა სასწაულთ-მოქმედება, უეცრივ ავადა სოფელი... დაუცხრა ტელიერბი, გაეწმინდა სისხლი სუფთა ჭაერით მორწყული...

და იგემა ერმა თავისუფალ ჭაერით სუნთქვა და მედგრად გული ამოძრავდა სიბრძოლველად... მსოფლიდ ჭალბიდგან გამორიეული გველ-ბაყაყი სასინდ-ყეიანდა:

„— ქვეყანა იდუბება, ქვეყანაო !..

და წარუდგინეს მოგვი მოსული ადმოსავლეთით მეფესა მას განრისხებულსა.

— ვინ ხარ შენ, ეშმაკის მაგვარო, მოსულხარ სიიდგან.. უფიქრა მეფემ მრისხანედ... და ამტუტებ ჩემ სამეფოს !? უკუნითი უკუნისამდი მამა-ბაბიდგან ბოძებული ბუდე გველ-ბაყაყისა ამოაშრე და სრულებით უსაზრდოოთ დასტოვე ჩემი ერთგულნი !..

ქურუმთ დაუკრეს კვერი და შეაჩვენეს მოგვი მოსული ადმოსავლეთით.

— იგი გრძნეულია, ეშმაკის კერძი !.. დოტვითა და ვედრებით დავამარცხებთ !.. ევიროდნენ ქურუმნი და ევედრებოდენ უფალს, რათა ეშმაკეული იგი ადეგავა ბირისგან დედამიწისა...

მოგვმა მოსულმა ადმოსავლეთით დამშვიდებითი უბასუხა:

— მეფევ ძლიერო, შენი დიდება ადმოსავლეთშივე მსმენია... შენის დიდებით გატაცებული წარმოვედ ადმოსავლეთით, ჩემი თავადით მეხილა შენი დიდება... მაგრამ რა ვნახე !? მთელ შენ სამეფოს ჩრჩილი გაჭრენია, დაუდადავად დღე და ღამ ღრღნის მის ძალას...

...მაიცა !.. უეცრივ შესწვეტა ბასი... შენი სასახლე ბრწყინავს... მზეს ეცილება, მაგრამ მაინც, ჭესდავ, მეფევ, — მიუთითა სკეტებზე,

— იგივე ჩრჩილი დრდნის შენი სასახლის ბოძებსაც!.. და, აჯა, შენს სახლობასაც გაჭმენია...

მეფემ შეიჭმუხა შუბლი და წარმოსთქვა:

— შენც შეჭნიშნე!? დასაფლეთი, სადაც მეცნიერება აეკაკებულია, შეკაჯერე და, მგონი, ჩქარა ბოძებს დავიცვამ... და ჩემ ოჯახსაც...

— მეფევ, ბოძები ჩქარა დაიდრდნება ჩრჩილისგან და თავს დაგაწვება შენი ბრწყინვალე სასახლე... ეცადე, ქვეშ არ მოგიტანოს!..

— როგორ, გეუბნები, წამლებს ვხმარობ ბოძების გადასარჩენად...

— წამლის ხმარება, მეფევ, ბოძების შენახვიდგან არ უნდა დაგეწეო, რადგანაც მთელ შენ სამეფოში ჩრჩილი მოდებულია, და შენს ერს ასნეულებს. დღეს მოსპობ შენი ბოძების სენს... ხვალ ერთი ორად სოფლიდგან გამოსაგზავნი მიესევა მაგვე ბოძებს და ადრე თუ გვიან...

— როგორ?.. ეკვირეს ქურუმთა და მსლებელთ... კიდეც მაგან აამდვრია წყალი და... შეჭბოჭეთ ეგ!...

მიესიენენ, ვითა ათასრნი, მაგრამ ოდეს დამშვიდნენ, ვედარ იხილეს მოგვი იგი ადმოსავლეთით მოსული... მხოლოდ ჭსედავდენ, რაგვარ დამარცხდენ...

— ეშმაკეულია იგი... ჩვენ გაგვისლტა ხელიდგან, მაგრამ ვიპოვით... ჩვენ ვილოცავთ, შეგავედრებთ უფალს, ხოლო თქვენ მიესიენით სოფელს და ამოშრალი ჭაობები აამსეთ სოფლის ტრემლით ... ამბობდნენ ქურუმნი...

— მაგრე უნდა მოხდეს, მაგრე!... უპასუხეს მეფის მსახურთ... თქვენ ჩვენთვის ილოცეთ და ჩვენ კიდევ გიჩვენებთ, როგორ ავტირებთ სოფელს... ადმოსავლეთით მოსულ მოგვისგან ჩვენ გაწბილებას ძვირად დავუსვამთ სოფელს, რომელიც იმის ხმას აჭევა და ჭაობები ამოქოლა, და ამოდენა გველ-ბაყაყს ბინადრობა მოუშალა..

— რა ბედნიერებით ვცხოვრობდით!... ეიეინსისინებდა გველ-ბაყაყი... წამოდით... წამოდით და თქვენ თითონ თქვენის ბედნიერის თვალით ისიდავთ, რა დაგემართა სოფელმა..

III

...და დაინაწილა მოედი ერი ადმოსავლეთით მოსულ მოგვის გაწბილებულმა მეფის მსახურმა, და ეოველი თავის ხვედრს შეესია გველ-ბაყაყის წინააღმდეგობით...

ეველგან ცეცხლის ალი ზეცას სწვდა. არე-მარე მოიცვა უმანკოთა წითელ-კეთილმა, რის კრულვა, და ძალ-დატანებითი ვედრებამ და ერთმანეთში არეულმა...

ამოქოლილი ჭაობებში ჩაუშვეს უმანკოდი და სისხლი... წმინდათ შესრულა თავის ვალებაბა განრისხებულმა მსახურმა და ეველგან თელი აეკრა: **„იდოლის მეფე და მისი ხურნი...“** მაგრამ მოგვი მოსული ადმოსავლეთ ვერსად ვერ ისილა, თუმცა ეველგან ჭეშმარიტ იქ ეოფნას და მის ფეხის კვალს... ამიერ ბრაზებული მსახური უგვანო-სამსახურა მ სახელით იმონებდა და ახდენდა სხვა და სხვა კრეულებას, რითაც ბატონის ცემას მეფეს ერში ძირიანად ჭეხვრიდა.

ერის ტრემლმა და სისხლმა მორწყო დ მიწა. ამოქოლილ ჭაობებში ჩანაკადულდა სისხლი და ტრემლი და დაჭეარა ლოდი... გ ბაყაყს გაუხარდა სინოტიოთი ავსება... ჩაეურე ლავდა შიგ... ეძებდა თავის ბუდეს, მაგრამ ნდა ტრემლმა და სისხლმა უმანკოთასმ ძლიერ ტალღით შორს ჭსტეორტნა...

— გველ-ბაყაყი იმისთვის არის გველ-ბაყაყ რომ ეოველ კარემოებაში და ეოველ ჭაერში ფუფუნებით არა, მაინც რიგიანთ მოიმაძრ კუნტი...

რაკი დაატეო გველ-ბაყაყმა, რომ ერი ცხ ლივ თუ მალვევ აბინრობს მეფის ბინის-ბინ ხვედრს, ზევიდგან წამოტივტივდა და თითქ იქამდის გაკადნიერდა, რომ ბევრგან სოფელი ბრიეგვეს და თავიანთ-თავი წარმოამადგენელად ამ რჩევინეს. სადაც ეს ვერ მოასერხეს, იქ ცარცვ გლეკა დაიწეეს, შიშის ზარი დასცეს სოფელს. სო ფელი მაინც ეცადა და თავის ოდნავ ოდნავ მაინ გულ-შემატკივარი გაუგზავნა მეფეს უკანასკნელ ბასუხისათვის...

„აქ უნდა შევწევიტო ზღაპარიო...“ თქვ ნაქურუმიშვილმა და მეც ძალუნებურად უნდა შეგ წევიტო... თუ ოდესმე განაგრძობ ... ნაქურუმიშვილმა ადმოსავლეთით მოსულ მოგვ მეც მოგითხრობთ...

13 მაისი 1906 წ. **ბ. არაგვისპირელი.**

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ადამაშვილი.**

სტამბა „ᲘᲓᲔᲐᲚᲘ“ (მ. დ. კიკნაძისა)
ნიკოლოზის ქუჩა, მილოვის სახლი № 6.